



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030469682691218

№ 04-553/თ

11 / სექტემბერი / 2018 წ.

„2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილებით დამტკიცებული „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ N22 დანართის („ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა“) ფარგლებში, სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების და გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ” სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 12 იანვრის N04-29/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2018 წლის 20 აგვისტოს N430 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილებით დამტკიცებული „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ N22 დანართის („ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა“) ფარგლებში, სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების და გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ” სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 12 იანვრის N04-29/თ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის გაცემისა და მიწოდების წესი” (დანართი N1) ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციის სახით.

2. დაევალოთ:

ა) სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი);

ა.ა) ადმინისტრირება გაუწიოს ბრძანების შესრულებას;

ა.ბ) უზრუნველყოს იმ სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად გათვალისწინებულ საკითხებზე და მოთხოვნის შემთხვევაში, მათთვის კონსულტაციის გაწევა, რომლებიც უზრუნველყოფენ „პროგრამით“ მოსარგებლე პირის დიაგნოსტიკას;


ა.გ) უზრუნველყოს „პროგრამით“ განსაზღვრული ლოჯისტიკის კომპონენტის მიმწოდებლის ინფორმირება წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებულ საკითხებზე და მოთხოვნის შემთხვევაში, მათთვის კონსულტაციის განწევა;

ბ) სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს (ი. ტაბატაძე), ფუნქციური დეპარტამენტების დავალების შესაბამისად (ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების და ეკონომიკური დეპარტამენტები), განახორციელოს პროგრამის ადმინისტრირებისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და შემდგომ - მისი ფუნქციონირების ხელშეწყობა;

გ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

გიორგი წონკოლაური

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების და
გაცემის წესი

წინამდებარე წესი შემუშავებულია „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილების გათვალისწინებით და განსაზღვრავს „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესყიდული ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის საკითხებს.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ ბრძანებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) სააგენტო - სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“;
- ბ) პროგრამა - „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილებით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა“ (დანართი 22);
- გ) მედიკამენტი - ფარმაცევტული პროდუქტი, რომელიც შესყიდულია პროგრამის ფარგლებში და შეიძლება გაიცეს ბენეფიციარზე;
- დ) პირი/ბენეფიციარი/მოსარგებლე - შეუძლია ისარგებლოს პროგრამით, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
- ე) ნდობით აღჭურვილი პირი - ფიზიკური პირი, რომელიც მიმართავს სააგენტოს ან აფთიაქს, მოსარგებლის (ბენეფიციარის) ნაცვლად მედიკამენტის მისაღებად და რომელიც წარადგენს მოსარგებლის (ბენეფიციარის) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს (დედანი) და ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N IV -100/ა);
- ვ) სამედიცინო დაწესებულება (ის სამედიცინო დაწესებულება), რომელიც ახორციელებს პროგრამის პოტენციური (შესაძლო) ბენეფიციარების დიაგნოსტიკას და გასცემს ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N IV -100/ა);
- ზ) ფორმა 100 - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N IV -100/ა);
- თ) ბაზა - იურიდიული პირი, რომელიც პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ფარგლებში, სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად უზრუნველყოფს ლოჯისტიკის კომპონენტის მიწოდებას (ტრანსპორტირება, შენახვა, განაწილება, გაცემა, ანგარიშგება), სააფთიაქო ქსელის (სააფთიაქო ქსელების) და/ან სხვადასხვა აფთიაქების მეშვეობით, როგორც რეგიონულ, ასევე რაიონულ დონეზე;
- ი) აფთიაქი - ფარმაცევტული დაწესებულება (ან მათი ქსელი), რომელიც უზრუნველყოფს მედიკამენტის გაცემას პირზე;
- კ) ელექტრონული პროგრამა - ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების აღრიცხვა-გაცემის ელექტრონული პროგრამა;
- ლ) ექიმი - ექიმი სპეციალისტი, ოჯახის ექიმი, რომელიც მუშაობს სამედიცინო დაწესებულებაში (გარდა „სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ ლიცენზიის მფლობელი დაწესებულებისა) ან სოფლის ექიმი.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლე

1. პროგრამის მოსარგებლეა:

- ა) პირი, რომელიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მასზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს;
- ბ) საპენსიო ასაკის მოსახლეობა (ქალი - 60 წლიდან, მამაკაცი – 65 წლიდან), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, აგრეთვე მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი.

მუხლი 3. ფარმაცევტული პროდუქტის მოსარგებლეზე გაცემის წესი

1. ფარმაცევტული პროდუქტის მისაღებად, პირმა უნდა მიმართოს სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულს, ქვეყნის მასშტაბით, როგორც რეგიონულ, ისე რაიონულ დონეზე და გაიაროს რეგისტრაცია ერთჯერადად.

2. ბენეფიციარმა, რეგისტრაციისთვის, თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა – დედანი და ფორმა 100 – დედანი (დასაშვებია ბენეფიციარის რეგისტრაცია ნდობით აღჭურვილი პირის მიერ, რომელიც, რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად, დამატებით უნდა ფლობდეს საკუთარ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას).

3. ფორმა 100 – უნდა მოიცავდეს ქრონიკული დაავადების დადასტურებულ დიაგნოზს (ICD-10), მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების სახეობის და დღიური დოზის მითითებით.

4. დიაგნოზის და/ან მედიკამენტის და/ან დოზის ცვლილების შემთხვევაში, მოსარგებლემ სააგენტოში უნდა წარმოადგინოს განახლებული ფორმა 100, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ამ კონკრეტული პირის რეგისტრაციის განახლება.

5. მედიკამენტის მისაღებად, პირი მიმართავს აფთიაქს, სადაც პირადობის დამადასტურებელი მოწმობის და ექიმის (ოჯახის ექიმი, სოფლის ექიმი, ექიმი – სპეციალისტი) მიერ გამოწერილი რეცეპტის საფუძველზე, მიიღებს კუთვნილ მედიკამენტ(ებ)ს.

6. პირი (რომელიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მის ოჯახზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ერთეულს), აფთიაქიდან მედიკამენტ(ებ)ის თითოეული გატანისას, იხდის მომსახურების ღირებულებას, რაც შეადგენს გატანილი მედიკამენტ(ებ)ის ღირებულების 10%-ს, მაგრამ არანაკლებ 0,05 (5 თეთრი) ლარისა და არაუმეტეს 1 (ერთი) ლარისა (ღირებულება მრგვალდება მეტობით, თეთრის სიზუსტით).

7. პირი (საპენსიო ასაკის მოსახლეობა (ქალი - 60 წლიდან, მამაკაცი – 65 წლიდან), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, აგრეთვე მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე), აფთიაქიდან მედიკამენტ(ებ)ის თითოეული გატანისას, თითოეულ მედიკამენტზე იხდის მედიკამენტის ღირებულებას, რომელიც არ აღემატება პროგრამის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტის 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით საბაზრო ღირებულების 50%-ს და თითოეული მათგანისთვის დადგენილია პროგრამის ფარგლებში გასაყიდი საცალო ფასი, რაც განსაზღვრულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

7. შეუძლებელია პირმა ერთ ჯერზე მიიღოს 3 (სამი) თვის სამყოფ ოდენობაზე მეტი მედიკამენტი (გამონაკლისია მხოლოდ ის ფარმაცევტული პროდუქტი, რომლის შეფუთვის მთლიანობის დარღვევა შეუძლებელია. თუმცა, მომდევნო გაცემის თარიღის პროგრამული

დაანგარიშება ხდება გაცემული ფარმაცევტული პროდუქტის მარაგის ამოწურვამდე დარჩენილი პერიოდის გათვალისწინებით).

8. იმ შემთხვევაში, თუ პირი ერთ ჯერზე გაიტანს 3 (სამი) თვის სამყოფ ოდენობაზე ნაკლებ მედიკამენტ(ებ)ს, მას შეუძლია განმეორებით მიმართოს აფთიაქს და გაიტანოს მომდევნო 3 (სამი) თვის ოდენობა, მხოლოდ იმ პერიოდის გასვლის შემდგომ რა პერიოდის სამყოფი მედიკამენტიც ჰქონდა გატანილი.

9. თუ პირი, მომდევნო სამი თვის მედიკამენტის გასატანად, მიმართავს აფთიაქს 3 (სამი) თვიანი ვადის ამოწურვამდე, დასაშვებია მედიკამენტის გაცემა, მაგრამ მომართვის პერიოდი შეიძლება იყოს ელექტრონული პროგრამით განსაზღვრულ ვადამდე არაუადრეს 10 (ათი) დღისა.

10. აფთიაქიდან მედიკამენტის გაცემის მომენტში, თუ შეიცვლება პირის ოჯახზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა და აღემატება 100 000 ერთეულს, შშმ სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვერ შეძლებს კუთვნილი მედიკამენტების მიღებას, მიუხედავად ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაციისა.

მუხლი 4. მედიკამენტის გაცემის წესი აფთიაქისათვის

1. აფთიაქი გაივლის რეგისტრაციას ელექტრონულ პროგრამაში, სადაც მას ენიჭება მომხმარებლის სახელი და პაროლი. ელექტრონული პროგრამის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს სააგენტო.

2. პირის/ნდობით აღჭურვილი პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დედანი, რეცეპტი (ქალაქმკარებელი ან ელექტრონული), აფთიაქის თანამშრომელი ამოწმებს მას ელექტრონულ პროგრამაში.

3. პროგრამის მოსარგებლის სტატუსის დადასტურების შემდეგ, აფთიაქიდან გაიცემა ბენეფიციარის კუთვნილი მედიკამენტი, არაუმეტეს 3 (სამი) თვის სამყოფი ოდენობისა.

4. მედიკამენტ(ებ)ის გაცემამდე, მოსარგებლე (რომელიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მის ოჯახზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ერთეულს) ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი აფთიაქში იხდის მომსახურების ღირებულების გადასახადს, რომელიც შეადგენს გატანილი მედიკამენტ(ებ)ის ღირებულების 10 %-ს, მაგრამ არანაკლებ 0,05 (5 თეთრი) ლარის და არაუმეტეს 1 (ერთი) ლარისა (ღირებულება მრგვალდება მეტობით, თეთრის სიზუსტით).

5. მედიკამენტ(ებ)ის გაცემამდე, მოსარგებლე (საპენსიო ასაკის მოსახლეობა (ქალი –60 წლიდან, მამაკაცი – 65 წლიდან), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, აგრეთვე მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე) ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი აფთიაქში მედიკამენტ(ებ)ის თითოეული გატანისას, თითოეულ მედიკამენტზე იხდის მედიკამენტის ღირებულებას, რომელიც არ აღემატება პროგრამის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტის 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით საბაზრო ღირებულების 50%-ს და თითოეული მათგანისთვის დადგენილია პროგრამის ფარგლებში გასაყიდი საცალო ფასი, რაც განსაზღვრულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

6. აფთიაქი ვალდებულია, ელექტრონულ პროგრამაში მოახდინოს პირის მიერ გადახდილი მომსახურების ღირებულების ასახვა, შესაბამისი ღილაკის მონიშვნით.

7. დაუშვებელია მოსარგებლისთვის მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადასახდელის გარდა სხვა რაიმე გადასახდელის გადახდევინება.

8. აფთიაქი ვალდებულია საჯარო ადგილას განათავსოს ინფორმაცია საპენსიო ასაკის მოსახლეობის (ქალი -60 წლიდან, მამაკაცი - 65 წლიდან) და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, აგრეთვე მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთათვის პროგრამის ფარგლებში გასაცემი მედიკამენტების საცალო ფასის თაობაზე („ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის” განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება).

9. აფთიაქი ვალდებულია, ყოველი საანგარიშო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე წარადგინოს ბაზაში წინა თვის ანგარიში, სადაც ასახულია ინფორმაცია მედიკამენტების მოძრაობის და პირის მიერ გადახდილი მომსახურების ღირებულების თაობაზე.

10. ელექტრონულ პროგრამაში მედიკამენტების გაცემაზე, სერიულ და მოქმედების ვადების კონტროლზე აფთიაქი ანგარიშვალდებულია ბაზასთან.

მუხლი 5. ბაზა ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მედიკამენტების განსათავსებელი სასაწყობე ტერიტორია შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით (უნდა იყოს გამიჯნული სხვა არაპროგრამული მედიკამენტებისგან);

ბ) სააგენტოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს სააგენტოს კუთვნილი მედიკამენტების მიღების პროცედურები ადგილზე, საჭიროების შემთხვევაში, ტვირთის საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გაფორმება, თავისივე ტრანსპორტით დანიშნულების ადგილამდე მიტანა, კონკრეტული მედიკამენტის ტრანსპორტირების სათანადო პირობის დაცვით. მედიკამენტ(ებ)ის საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გაფორმებას და ტრანსპორტირებას ესწრებიან სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენლები;

გ) ყოველი საანგარიშო თვის 25-დან მომდევნო თვის ხუთ რიცხვამდე, სააგენტოდან მიღებული მედიკამენტების მომდევნო თვის განაწილება (საქართველოს ყველა რეგიონის და რაიონის გათვალისწინებით), დაამუშაოს წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე.

დ) უწყვეტ რეჟიმში, უზრუნველყოს აფთიაქების შევსება მოთხოვნების შესაბამისად;

ე).პერიოდულად, აწარმოოს აფთიაქების კონტროლი ნაშთის ფიზიკური აღწერის საფუძველზე.

ვ) სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, საჭიროებიდან გამომდინარე უზრუნველყოს აფთიაქების მარაგების შევსება ან გადანაწილება (ერთი აფთიაქიდან მეორეში გადატანა);

ზ) ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე, სააგენტოში წარადგინოს წინა თვის ანგარიში, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია მედიკამენტების მოძრაობის შესახებ (როგორც საკუთრივ ბაზაში, ასევე აფთიაქების დონეზე) და ასევე, წარმოადგინოს წინა თვის განმავლობაში ბენეფიციარების მხრიდან გადახდილი თანხის სააგენტოს ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე შემოტანის დოკუმენტი:

ხაზინის ერთიანი ანგარიში;

სახელმწიფო ხაზინა : TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022

საბიუჯეტო შემოს. სახაზინო კოდი: 707037499

გადახდის დანიშნულებაში მიეთითოს: ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის საფასური.

მუხლი 6. სააგენტო უფლებამოსილია:

ა) საჭიროებიდან გამომდინარე, წლის ნებისმიერ დროს, ჩაატაროს მონიტორინგი როგორც ბაზაში, ასევე მისდამი დაქვემდებარებულ აფთიაქებში.

ბ) ჩატარებული მონიტორინგისას გამოვლენილი დარღვევების (მედიკამენტის შენახვის პირობების დაუცველობა (ტემპერატურული რეჟიმი), მოქმედების ვადების უკონტროლობა, სერიული კონტროლის აღრევა, დანაკლისი, ზედმეტობა) შემთხვევაში, პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება ბაზას.